

თისი

„ 22 “ „ X 14 “ 2016 წ.

„სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების საგრანტო კონკურსის დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 9 ივნისის №58/წ ბრძანების, „სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების საგრანტო კონკურსის გამოცხადების შესახებ“ სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2016 წლის 11 ოქტომბრის №200 ბრძანებისა და „2016 წლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების საგრანტო კონკურსის შედეგად გამარჯვებული პროექტების დამტკიცების შესახებ“ სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2016 წლის 16 დეკემბრის N243 ბრძანების საფუძველზე,

ერთი მხრივ, სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი, წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის მარინე ჩიტაშვილის სახით (შემდგომში - გრანტის გამცემი), მისამართი: ქ. თბილისი, მ. აღუქსიძის ქ. №1, საიდენტიფიკაციო კოდი 204578064, სახელმწიფო ხაზინა, ანგ. №200122900

მეორე მხრივ, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, წარმოდგენილი მისი რექტორის გიორგი შარვაშიძის და ადმინისტრაციის უფროსის ნუნუ ოვსიანკოვას სახით (შემდგომში ცალკე წოდებული, როგორც წამყვანი ორგანიზაცია, აგრეთვე თანადამფინანსებელი) საინდენტიფიკაციო კოდი 204864548, საიდენტიფიკაციო კოდი: ასევე გამარჯვებული პროექტის ხელმძღვანელი დიმიტრი კორძაია (პირადი N01008010139), ახალგაზრდა მეცნიერი და დოქტორანტები (შემდგომში წამყვანი ორგანიზაცია, ხელმძღვანელი, ახალგაზრდა მეცნიერი და დოქტორანტები ყველანი ერთად წოდებულნი როგორც გრანტის მიმღები)

შემდგომში ცალ-ცალკე წოდებული როგორც მხარეები ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების 2016 წლის საგრანტო კონკურსის გამარჯვებული პროექტის „ახალი საფაკულტეტათშორისო ინტერდისცი-პლინური სტრუქტურირებული სადოქტორო პროგრამა „ტრანსლაციური ბიომედიცინა (მიმართულება - “ჰეპატოლოგია”)“ საგრანტო დაფინანსება (შემდგომში - გრანტი) და გრანტის მიმღების მიერ პროექტითა და წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობების განხორციელება.

მუხლი 2. დაფინანსება და მხარეთა უფლება-მოვალეობები

2.1. პროექტის საერთო დაფინანსება შეადგენს 263 795 ლარს. პროექტის საგრანტო დაფინანსება, გრანტის გამცემის მხრიდან, რომელიც განკარგვისათვის გადაეცემა გრანტის მიმღებს, შეადგენს

3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, აღნიშნული გარემოების დადგომიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში წერილობით უნდა აცნობოს ხელშეკრულების მეორე მხარეს ასეთი გარემოებების დადგომის და მათი გამოწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიღებიდან 5 სამუშაო დღის განმავლობაში მხარეები თანხმდებიან სახელშეკრულებო ურთიერთობების გაგრძელების, შეჩერების ან შეწყვეტის მიზანშეწონილობის თაობაზე რაც ფორმდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 9. სადავო საკითხების გადაწყვეტა

ნებისმიერი დავა, რომელიც წარმოიშობა წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებით ან/და გამომდინარეობს მისგან, უნდა გადაწყდეს მხარეთა შორის მოლაპარაკების გზით. შეუთანხმებლობის შემთხვევაში დავა განიხილება საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ.

მუხლი 10. ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მისი მოქმედების ვადა

10.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და ძალაშია ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე.

10.2. პროექტი იწყება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან და სრულდება ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე.

10.3. ხელშეკრულება შეიძლება ვადამდე შეჩერდეს ან შეწყდეს წინამდებარე ხელშეკრულებითა და კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

მუხლი 11. დამატებითი პირობები

11.1. ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 3 (სამი) ეგზემპლარად და თითოეული განკუთვნილია თითოეული მხარისათვის.

11.2. ცვლილებები ან/და დამატებები ხელშეკრულებაში შესაძლებელია შევიდეს მხოლოდ მხარეთა ურთიერთშეთანხმებით წერილობითი ფორმით, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. მხარეთა რეკვიზიტების შეცვლის შემთხვევაში საკმარისია მხოლოდ მხარის მიერ მეორე მხარისათვის წერილობითი შეტყობინების გაგზავნა, შესაბამისად არ იქნება საჭირო ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა.

გრანტის გამცემი:

გრანტის მიმღები:

სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული

სამეცნიერო ფონდის

გენერალური დირექტორი

წამყვანი ორგანიზაცია:

მ. ჩიტაშვილი

გ. მარვაშიძე